ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ ქონების მართვის სააგენტო

წერილის ნომერი: **61-01211192707**
თარიღი: **29/04/2021**
პინი: **2896**

ადრესატი: შპს მ2 მელიქიშვილზე
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404537747
მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზ. #15 (მ2 ბიზნეს ცენტრი)

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში შემოსულია თქვენი #10.01211181606–61 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მელიქიშვილის ქუჩაზე, #01.15.02.006.012 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-75 დადგენილებით დამტკიცებული - "ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/ და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის" შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ / საზოგადოებრივ სივრცესა და ტერიტორიაზე განსაზღვრულ სამუშაოების წარმოებაზე თანხმობის გაცემის უფლებამოსილება მიენიჭა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს.

ზემოაღნიშნული წესის საფუძველზე, დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით საჭირო სამუშაოების წარმოება სააგენტოს მიერ შეთანხმებულია სხვა კონფიგურაციითა და მასალით (QN1518166, QN1455355 გადაწყვეტილებები). აღვნიშნავთ, რომ სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემის მომსახურებით სარგებლობა გულისხმობს სამომავლოდ განსახორციელებელ სამუშაოებზე (მაგ. ხაზობრივი ნაგებობის განთავსება, ტერიტორიის კეთილმოწყობა, მოპირკეთება, გზის ან/და ტროტუარის მოწყობა) აქტის გამოცემას. ხოლო, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკვე შესრულებული სამუშაოების დადასტურება სამართლებრივად სცდება სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებს. თუმცა, გაცნობებთ, რომ სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის არსებული სიტუაციის მიხედვით გამოყენება, საზოგადოებრივი სივრცის დანიშნულებით, ფუნქციური ზონის შესაბამისად, საკითხის სსსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებით.

ქეთევან მშვიდობაძე

სსიპ ქონების მართვის სააგენტო-ადმინისტრაციული სამსახური-სამსახურის უფროსი (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილება

დოკუმენტი №5302016

განაცხადი №AR1805519

თარიღი : 23.02.2021

განმცხადებელი: ირაკლი შარაშიძე პ/ნ: 01009004220

ობიექტის მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა მელიქიშვილი , N 10;

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: უარყოფა

- მოცულობა დიდია.

კომისიის წევრი: უარყოფა

- -

კომისიის წევრი: უარყოფა

- კატეგორიული უარი, აღნიშნული ობიექტი, მისი მასშტაბითა და არქიტექტურული გადაწყვეტით, ისედაც საკმაოდ უარყოფითი გავლენას ახდენს მელიქიშვილის გამზირის იერზე, დაუშვებელია რაიმე დამატებით მოცულობის დამატება, აგრეგატების განსათავსებლად გამოინახოს შენობის ფარგლებში აღნიშნული ფართი.

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

განაცხადზე კომისიის/საბჭოს შეფასება "დადებითი"
კომისიის/საბჭოს ჩატარების თარიღი: 25.02.2021

კომისიის/საბჭოს დასკვნა - რეკომენდაცია:

მიეცეს დადებითი შეფასება ქ. თბილისში, მელიქიშვილის ქ. N10-ში მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხს.

№ 4-1/ დ 1811-20

"10" 12 2020 წ.

დადგენილება №000460
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

10.12.2020წ. **ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7**

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2020 წლის 10 დეკემბრის №000460 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი **შ.პ.ს. „მ2 მელიქიშვილზე"-ს** (საიდენტიფიკაციო კოდი №404537747 დირექტორი – ირაკლი ბურდილაძე (პირადი №01025006212), მის: ქ. თბილისი, მელიქიშვილის ქ. №10) მიმართ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, მელიქიშვილის ქ. №10, საკ. კოდი №01.15.02.006.012-ში შ.პ.ს. „მ2 მელიქიშვილზე"-ს მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3026884 AR1466202 06.01.2017წ. №4487983 AR1677690 08.05.2019წ. №4959710 AR1749464 29.05.2020წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა. ლიფტის კარებს მონაცვლებული აქვს ადგილი. ტერიტორიაზე შეცვლილია კიბის ფორმა. ნიწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. შენობის წინ შეცვლილია კიბის ფორმა და გაზრდილია პანდუსის დახრა. -2 სართული გეგმის ნახაზი არ არის პროექტში. -1 სართულზე შეცვლილია გარე კედლების კონფიგურაცია. „ა-ა" ღერძის გარეთ შეცვლილია კიბის უჯრედის ფორმა და დამატებულია ლიფტის შახტა. „ე-ე" ღერძთან დამატებულია კიბის უჯრედი და ლიფტის შახტა. „1-3" მონაკვეთში დამატებულია კიბე. „კ-კ" ღერძის გარეთ შეცვლილია აივნების გაბარიტი. შეცვლილია სადარბაზოს კიბის კედლების ფორმა. კიბე გადახურულია. სახურავზე დამატებულია დანადგარები. გაზრდილია ტექნიკური სივრცის გაბარიტი. „კ-ბ" ფასადზე ნაწილობრივ შეცვლილია ფასადის მოპირკეთება. და „გ-ჯ" მონაკვეთში მოწყობილია ცხაური და დამატებულია ფანჯარა. „გ-ჯ" მონაკვეთში დამატებულია ცხაურები.

2020 წლის 10 დეკემბერს საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000460 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის №10/012030718O3-17 02.11.2020წ. განცხადება; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. „მ2 მელიქიშვილზე"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, მელიქიშვილის ქ. №10, საკ. კოდი №01.15.02.006.012-ში შ.პ.ს. „მ2 მელიქიშვილზე"-ს მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3026884 AR1466202 06.01.2017წ. №4487983 AR1677690 08.05.2019წ. №4959710 AR1749464 29.05.2020წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ," საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ. ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. „მ2 მელიქიშვილზე" დაჯარიმდეს 15000 (თხუთმეტიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. „მ2 მელიქიშვილზე"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამშენებლო სამართალდარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს სამშენებლო სამართალდარღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. „82 მელიქიშვილზე"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამშენებლო სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში (დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში), სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამშენებლო სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი 3 თვის შემდეგ სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჯ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

მ. ჯაყელი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

თბილისი, 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

შემოწმების აქტი № 000460

(სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ)

შედგენის თარიღი: 10. 12. 2020წ.

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი'' 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება შემოწმების აქტის შედგენით იწყება:

ა) 136-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას;

ბ) დარღვევისათვის საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების მიღებისას;

გ) დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას;

დ) საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისას;

ე) უფლებამოსილი ორგანოსთვის იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების დადგენილ ვადაში წარუდგენლობისას, რომლის მშენებლობაც დამთავრებულია;

ვ) თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების მიღებას;

ზ)138-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას, თუ ის ხორციელდება „ტყის ფონდის მართვის შესახებ“ და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიაზე ან ზონაში, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში .

დამრღვევის დასახელება და მისამართი: შპს „გ² მოლოქოვის" (საიდ. კოდი №404537747) ქ. თბილისი, მთაწმინდის რ.ნი, მოლოქოვის ქ. №10

ობიექტის დასახელება და მისამართი: მრავალფუნქციური შენობა ქ. თბილისი, [illegible] მთაწმინდა, მოლოქოვის ქ. №10 (საკ. კოდი №01.15.02.006.012)

შემოწმებით დადგინდა: დარღვეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06.01.2017წ. №3026884 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი. დარღვევები [illegible] №000460 შემოწმების აქტის

დანართი (დანართი ერთი ფურცელი)

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):

უფროსი სპეციალისტი ვ. [illegible] /ვ. [illegible]/

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა):

[illegible] 15.12.2020

[illegible]

სამშენებლო სამართალდამრღვევისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყების ან დადგენილების გაცნობა უნდა მოხდეს ოფიციალურად, სამშენებლო ობიექტზე. თუ დამრღვევი არ იმყოფება სამშენებლო ობიექტზე ან უარს აცხადებს შესაბამისი აქტის/აქტების გაცნობაზე, გაცნობად ჩაითვლება აქტის/აქტების სამშენებლო ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება (საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს, თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით. (ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი).

განთავსების თარიღი

№000460 შემოწმების აქტის დანართი

შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა. ლიფტის კარებს მონაცვლებული აქვს ადგილი. ტერიტორიაზე შეცვლილია კიბის ფორმა. ნიწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. შენობის წინ შეცვლილია კიბის ფორმა და გაზრდილია პანდუსის დახრა.

-2 სართული გეგმის ნახაზი არ არის პროექტში.

-1 სართულზე შეცვლილია გარე კედლების კონფიგურაცია. ,,ა-ა" ღერძის გარეთ შეცვლილია კიბის უჯრედის ფორმა და დამატებულია ლიფტის შახტა. ,,ე-ე" ღერძთან დამატებულია კიბის უჯრედი და ლიფტის შახტა. ,,1-3" მონაკვეთში დამატებულია კიბე.

,,კ-კ" ღერძის გარეთ შეცვლილია აივნების გაბარიტი.

შეცვლილია სადარბაზოს კიბის კედლების ფორმა. კიბე გადახურულია. სახურვაზე დამატებულია დანადგარები. გაზრდილია ტექნიკური სივრცის გაბარიტი.

,,კ-ბ" ფასადზე ნაწილობრივ შეცვლილია ფასადის მოპირკეთება. და ,,გ-ჯ" მონაკვეთში მოწყობილია ცხაური და დამატებულია ფანჯარა.

,,გ-ჯ" მონაკვეთში დამატებულია ცხაურები.

ფროსი სპეციალისტი ---------- კ. გიორგობიანი

დანართი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა)

_____

_____

ელექტრონული საგადახდო დავალება No 2144

საქართველოს ბანკი

Transfer Order No 2144

თარიღი/Date: რეფერენს ნომერი/Reference number: 9720561696

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს მ2 მელიქიშვილზე

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE27BG0000000215638502GEL

თანხა/Amount
62.8 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
სამოცდაორი ლარი 80 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს მ2 მელიქიშვილზე

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
404537747

მიმღების დასახელება/Recipient
ქ. თბილისი - მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773090

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank
18/08/2020

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank

გადახდის დანიშნულება/Description
განცხადების ნომერი AR1766953, მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი (თბილისი): № AR1766953BP - ზე გადასახდელია 62.8 ლარი

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შექმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK

ხელმძღვანლის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ელექტრონული საგადახდო დავალება No 2144

საქართველოს ბანკი

Transfer Order No 2144

თარიღი/Date: რეფერენს ნომერი/Reference number: 9720561696

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს მ2 მელიქიშვილზე

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE27BG0000000215638502GEL

თანხა/Amount
62.8 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
სამოცდაორი ლარი 80 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს მ2 მელიქიშვილზე

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
404537747

მიმღების დასახელება/Recipient
ქ. თბილისი - მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773090

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank
18/08/2020

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank

გადახდის დანიშნულება/Description
განცხადების ნომერი AR1766953, მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი (თბილისი): № AR1766953BP - ზე გადასახდელია 62.8 ლარი

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შექმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK

ხელმძღვანლის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ელექტრონული საგადახდო დავალება No 2255

საქართველოს ბანკი

Transfer Order No 2255

თარიღი/Date: 15/12/2020 რეფერენს ნომერი/Reference number: 10235186063

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს მ2 მელიქიშვილზე

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE27BG0000000215638502GEL

თანხა/Amount
15000 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
თხუთმეტი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს მ2 მელიქიშვილზე

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
404537747

მიმღების დასახელება/Recipient
ქ. თბილისი - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank
15/12/2020

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
15/12/2020

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე - N0004460 .

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შეიქმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK

ხელმძღვანლის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ელექტრონული საგადახდო დავალება No 2255

საქართველოს ბანკი

Transfer Order No 2255

თარიღი/Date: 15/12/2020 რეფერენს ნომერი/Reference number: 10235186063

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს მ2 მელიქიშვილზე

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE27BG0000000215638502GEL

თანხა/Amount
15000 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
თხუთმეტი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს მ2 მელიქიშვილზე

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
404537747

მიმღების დასახელება/Recipient
ქ. თბილისი - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank
15/12/2020

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
15/12/2020

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე - N0004460 .

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შეიქმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK

ხელმძღვანლის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

OCSC20560882 16/12/2020

ც ნ ო ბ ა

ეძლევა შპს მ2 მელიქიშვილზე (ს/ნ 404537747) მასზედ, რომ 15/12/2020ში სს ,,საქართველოს ბანკში“ შპს მ2 მელიქიშვილზე ანგარიშიდან GE27BG0000000215638502GEL შესრულებულია გადარიცხვა ბიუჯეტის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე - 200122900 შემდეგი დეტალებით:

თარიღი	თანხა	ვალუტა	რეფერენსი	სახაზინო კოდი	დანიშნულება	გადამხდელი
15/12/2020	15,000.00	GEL	10235186063	300773263	დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე - N 0004460 .	შპს მ2 მელიქიშვილზე ს/ნ 404537747

შპს მ2 მელიქიშვილზე წარმომადგენლის განცხადებით, 15/12/2020ში შესრულებულ გადარიცხვაში (რეფერენსი 10235186063) გადასახადის დანიშნულებაში შეცდომით მითითებულია საქმის ნომერი N 0004460, ნაცვლად საქმის ნომრისა N 000460.

სს ,, საქართველოს ბანკის“ წარმომადგენლის ხელმოწერა:

/ თამარ დემურია/_____

სერვის ცენტრი 366

შპს "მ2 მელიქიშვილზე"

"M2 AT MELIKISHVILI" LLC

N1303

12/03/2021

მესაკუთრის განმარტება

2021 წლის 1 მარტს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის N5307086 გადაწყვეტილებით დადგენილი ერთ-ერთი ხარვეზის შესაბამისად, ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ მოთხოვნილ იქნა **„განმარტებული იქნეს ეხება თუ არა ცვლილება უზუფრუქტით გადაცემულ ფართს და თუ ხდება აღნიშნული ფართის ცვლილება, წარმოდგენილ იქნეს შესაბამისი თანხმობა."**

გაცნობებთ, რომ უსასყიდლო უზუფრუქტის უფლება რეგისტრირებულია სსიპ -საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 30 ნოემბრის N 882020894295-03 გადაწყვეტილებით და მოიცავს თბილისში, მელიქიშვილის N10-ში, N01.15.02.006.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთის ფართიდან 45 კვ.მ-ს.

უზუფრუქტუარს წარმოადგენს სს „თელასი" (ს/ნ 202052580), რომელთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისადაც, უზუფრუქტის საგნის გამოყენების დანიშნულება იქნება მხოლოდ ელ. ენერგიის ტრანსფორმატორის განთავსება.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, უზუფრუქტის უფლების საგანს არ ეხება სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილება და ის რჩება იმავე სახით, როგორც არსებობდა აღნიშნულ ცვლილებამდე.

პატივისცემით,

„მ2 მელიქიშვილზე" (ს/ნ 404537747) დირექტორი

ეკატერინე დუჩიძე

შპს "მ2 მელიქიშვილზე" 404537747 "M2 AT MELIKISHVILI" LLC

წერილის ნომერი: **18-01180581277**
თარიღი: **27/02/2018**

ადრესატი: შპს მ2 მელიქიშვილზე
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404537747
მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რ-ნი, მელიქიშვილის ქუჩა N10

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, თქვენი 2017 წლის 13 დეკემბრის #10/0117347493-18 წერილის; 2018 წლის 31 იანვრის და 13 თებერვლის #10/01180313594-18 #10/01180443539-21 წერილების და თანდართული დოკუმენტაციის (შპს ,,სილვა გრუპი'ს ექსპერტ დავით კობახიძის 2017 წლის 7 დეკემბრის #001/286 და 2018 წლის 29 იანვრის #001/06; #001/11 საექსპერტო დასკვნები, ტოპოგეგმა მონიშნული ხე-მცენარეებით, ხელშეკრულება) გათვალისწინებით მიიღო გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის თაობაზე, კერძოდ:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს მე-3 თავის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის შესაბამისად და თქვენს მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით შპს ,,მ2 მელიქიშვილზე'' კუთვნილ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, მელიქიშვილის ქუჩა #10 საკ/კოდ 01.15.02.006.012) მოიჭრას 1 (ერთი) ძირი ზეხმელი და 1 (ერთი) ძირი დაავადებული კვიპაროსი (დიამეტრი 21.0სმ, 24.5სმ).

ზემოაღნიშნული წესის 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის მიმღები ვალდებულია ჭრის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (ჭრის დაწყებამდე მინიმუმ 2 სამუშაო დღით ადრე), წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების ჭრა ჩაითვლება უკანონოდ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს მე-3 თავის, 26^1 მუხლის საფუძველზე გევალებათ, მოჭრილი მწვანე ნარგავების სანაცვლოდ, მცენარეთა განვითარების არასავეგეტაციო პერიოდში იმავე ტერიტორიაზე (საკ/კოდ 01.15.02.006.012) აგროტექნიკური ნორმების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით განახორციელოთ საკომპენსაციო რგვა და დარგული მწვანე ნარგავების შემდგომი სამწლიანი მოვლა-პატრონობა, 2018 წლის 13 თებერვლის #10/01180443539-21 წერილით წარმოდგენილი საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ნებართვის მიმღები ვალდებულია საკომპენსაციო რგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (დარგვის დაწყებამდე - მინიმუმ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების საკომპენსაციო რგვის ვალდებულება ჩაითვლება შეუსრულებლად.

საკომპენსაციო რგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ წარმოდგენილი უნდა იქნას დარგული ხე-მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი

ფოტომასალა.

დამატებით გაცნობებთ, რომ სამსახური თანახმაა მელიქიშვილის ქუჩა #10-ის მიმდებარედ გამწვანებულ თარგში (ქალაქ თბილისის თვითმართველი ერთეულის საკუთრება საკ/კოდ 01.15.02.006.013) ჩანაცვლდეს 1 (ერთი) ძირი ხმობადი დაავადებული მარადმწვანე მუხა და 2 (ორი) ძირი ხმობადი დაავადებული ცაცხვი (დიამეტრები 26.8სმ, 36.9სმ, 30.9სმ) იგივე სახეობის 3.5 მ სიმაღლის ნარგავებით და ჩანაცვლება განხორციელდეს დაავადებული ხე-მცენარეების ამოღებისთანავე.

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გიგა გიგაშვილი

წერილის ნომერი: **18-01182853608**
თარიღი: **12/10/2018**
პინი: **2485**

ადრესატი: შპს მ2 მელიქიშვილზე
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404537747
მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რ-ნი, მელიქიშვილის ქუჩა N10

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, თქვენი 2018 წლის 31 მაისის #10/01181512381-18 და 26 სექტემბრის #10/01182693105-18 განცხადებების და თანდართული დოკუმენტაციის (შპს „სილვა გრუპი''-ს ექსპერტ დავით კობახიძის 2018 წლის 24 მაისის #002/161 საექსპერტო დასკვნა, ფოტოსურათები, ხელშეკრულება საქონლის შესყიდვისა და მომსახურების შესახებ) გათვალისწინებით მიიღო გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის თაობაზე, კერძოდ:

საქართველოს კანონის „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ'' (შემდგომში მოხსენებული, როგორც „კანონი'') მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება“) 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდან შპს „მ2 მელიქიშვილზე'' კუთვნილ სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, მელიქიშვილის ქუჩა #10 ს.კ.: 01.15.02.006.012) განთავსებულია 1 (ერთი) ძირი ზეხმელი კვიპაროსი (დიამეტრი 23.2სმ), რაც დასტურდება ექსპერტის მიერ და არსებითად აფერხებს მშენებლობას, სამსახური თანახმაა გასცეს ხის მოჭრის ნებართვა.

დადგენილების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის მიმღები ვალდებულია ჭრის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (ჭრის დაწყებამდე არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე), წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავის ჭრა ჩაითვლება უკანონოდ.

დადგენილების 26^1-ე მუხლის საფუძველზე გევალებათ, მოჭრილი მწვანე ნარგავის სანაცვლოდ, ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ნორმების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით განახორციელოთ საკომპენსაციო რგვა მელიქიშვილის ქუჩა #10-ის მიმდებარედ გამწვანებულ თარგში (ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრება ს.კ.: 01.15.02.006.013) და დარგული მწვანე ნარგავის შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობა, 2018 წლის 26 სექტემბრის #10/01182693105-18 განცხადებით წარმოდგენილი ხელშეკრულებით (შესყიდვის და მომსახურების შესახებ) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ნებართვის მიმღები ვალდებულია საკომპენსაციო რგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (დარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების საკომპენსაციო რგვის ვალდებულება ჩაითვლება შეუსრულებლად.

საკომპენსაციო რგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ, უნდა

წარმოადგინოთ დარგული ხე-მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

აქვე გაცნობებთ, რომ საკომპენსაციო რგვიდან 3 წლის განმავლობაში მწვანე ნარგავების გახმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ განმეორებითი საკომპენსაციო რგვის ვალდებულება.

ასევე მოგახსენებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის'' შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც შეთანხმებული უნდა იქნას შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის მე-5^1 პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

LEPL STATE LANGUAGE DEPARTMENT

№ 14 26 /04/ 2021

შპს „მ² მელიქიშვილზე“ დირექტორს

ქალბატონ ეკატერინე დუჩიძეს

თქვენი #178 (#11; 23.04.2021) წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქართული ენის სალიტერატურო ნორმებისა და ტრანსლიტერაციის წესების თანახმად სახელმწიფო ენაზე შესრულებული წარწერა უნდა განათავსოთ მარცხნივ ან ზემოთ, ხოლო არასახელმწიფო ენაზე შესრულებული წარწერა-მარჯვნივ ან ქვემოთ. ასევე შეგახსენებთ, რომ არასახელმწიფო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ წარწერას.

რამადა	RAMADA
უინდემისგან	BY WYNDHAM
ენკორი	ENCORE

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი მზად არის გაგიწიოთ დამატებითი კონსულტაცია.

დეპარტამენტის თავმჯდომარე: გიორგი ალიბეგაშვილი

საქართველო, 0114, თბილისი, ინგოროყვას ქ. №7
7 INGOROKVA STR. TBILISI, 0114, Georgia

✆: (+995 32)2 990 900(25 26)
www.enadep.gov.ge


PT-04
PNL-01
PNL-01
PNL-01
BAGUETTE-02
BAGUETTE-01
GLASS FACADE
+47.130 TOP OF PARAPET
+45.830 ROOF
+42.500 +11 FLOOR
+40.080 TOP OF PARAPET
+39.050 +10 FLOOR
+35.300 +9 FLOOR
+31.850 +8 FLOOR
+29.500 TOP OF PARAPET
+28.400 +7 FLOOR
+24.950 +6 FLOOR
+21.200 +5 FLOOR
+17.750 +4 FLOOR
+16.500
+15.250 TOP OF PARAPET
+13.700 +3 FLOOR
+9.650 +2 FLOOR
+6.550
+5.600 +1 FLOOR
±0.000 / 446.980 GROUND FLOOR
-0.150
BAGUETTE-02
BAGUETTE-02
BAGUETTE-02
GLASS FACADE
GLASS FACADE
+28.400 +7 FLOOR
+24.950 +6 FLOOR
+21.200 +5 FLOOR
+17.750 +4 FLOOR
+21.100
+19.850
+0.540
+0.050
RAMADA
BY WYNDHAM
RAMADA